საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1134

ქ. თბილისი

25/11/2019

შპს „გლობალ რესაიქლინგ კოს“ ქ. ფოთში ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-16 პუნქტის და მეორე დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შპს „გლობალ რესაიქლინგ კოს“ ქ. ფოთში ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N120 (25.11.2019);
2. შპს „გლობალ რესაიქლინგ კომ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N120 (25.11.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გლობალ რესაიქლინგ კოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლობალ რესაიქლინგ კოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი